09/06/2019

ილია მეორე – მადლობას ვწირავთ უფალს, რომ მოგვცა საშუალება, აგვეშენებინა წმინდა ნინოს ახალი ტაძარი ბოდბეში

მადლობას ვწირავთ უფალს, რომ მოგვცა საშუალება, აგვეშენებინა წმინდა ნინოს ახალი ტაძარი ბოდბეში, – ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ ბოდბეში, წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში ქაგადებისას განაცხადა.

„დღეს ყოველი ქართველი ადამიანი უგალობს წმინდა ნინოს. აშენდა წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი. 1700 წელი ელოდა საქართველო ამ ტაძარს. წმინდა ნინო რომ ჩამოვიდა ბოდბეში, მან ააშენა წმინდა გიორგის ტაძარი. მადლობას ვწირავთ უფალს, რომ მოგვცა საშუალება, აგვეშენებინა წმინდა ნინოს ახალი ტაძარი ბოდბეში. ხშირად ვფიქრობთ, რამ მისცა წმინდა ნინოს ეს სულიერი და ფიზიკური ძალა, რომ ჩამოვიდა ასე შორ გზაზე და მოაქცია ქართველი ერი. ვმადლობთ უფალს, უძლურთა მკურნალსა და ნაკლულევანთა აღამავსებელს, რომ გვაძლევს მადლს, ვაკეთოთ ღვთის საქმე“,- აღნიშნა ილია მეორემ.

პატრიარქმა ბოდბელი ეპისკოპოსი მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა, მოსაყდრე შიო კი პანაღიით დააჯილდოვა.

ტაძრის მშენებლობაში შეტანილი წვლილისთის დაჯილდოვდნენ არჩილ გეგენავა, თეიმურაზ კომახიძე, ლაშა პაპაშვილი, იღუმენია თეოდორა, არქიტექტორი თეიმურაზ ბერიძე, ხატმწერი მამუკა მიქელაძე, ფოკის დედათა მონასტრის წინამძღვარი. პატრიარქმა მადლობა გადაუხადა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ტაძარში იმყოფებოდა.

ამასთან, პატრიარქმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დალოცა.

ავტორი – ნათია ქენქაძე / 1tv